შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№32 (9.892)

31 აგვისტო-7 სექტემბერი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

სოციალურად დაუცველი ოჯახი მოინახულეს

გვ. 2

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები ცნობილია

გვ. 4

ახალი ინვენტარი – სკოლებს

გვ. 2

ოსი სეპარატისტების ულტიმატუმი – კრემლის დავალება თუ თვითნებობა?!

გვ. 3

სამუშაო შეხვედრა მერიაში

მერიაში დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯნიაშვილის ხელმძღვანელობით ტრადიციული სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა თათბირზე მერის წარმომადგენლებთან, სტრუქტურული ერთეულებისა და ა(ა)იპების ხელმძღვანელებთან ერთად მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენები განიხილა და სამომავლო გეგმებზე იმსჯელა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო „რთველი-2019“-ის სამზადისს, რის შესახებაც მერმა დეტალური ინფორმაცია მერის წარმომადგენლებისგან მიიღო.

თათბირსე ასევე მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში არსებულ მდგომარეობაზეც იმსჯელეს. აღინიშნა, რომ ახალ სასწავლო წელს ყველა სააღმზრდელო დაწესებულება ღირსეულად შეხვდება და ჩვენს პატარებს საუკეთესო პირობებს შეუქმნის.

აღინიშნა ისიც, რომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წარმატებით ხორციელდება C ჰეპატიტის, აივ/შიდსისა და ტუბერკულოზის სკრინინგი.

ტრადიციულ ყოველკვირეულ თათბირზე მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტებიც განიხილეს. ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მერის წარმომადგენლებს მონიტორინგის პროცესში მეტი აქტიურობისაკენ კიდევ ერთხელ მოუწოდა.

ალაზნის ველზე ძვ. წ. V–IV საუკუნეების სასახლის ნაშთები აღმოჩნდა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საერთშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ალაზნის ველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუგაანში მუშაობა დაასრულა. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად დაახლოებით ძვ.წ. V-IV საუკუნეების სასახლის ნაშთები გამოვლინდა.

ალაზნის ველზე, ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიურმა გუნდმა, გეოფიზიკური დაზვერვების შედეგად, დაახლოებით 1 ჰექტარზე განფენილი, სავარაუდოდ, ნახანძრალი ნაგებობის ნაშთები დააფიქსირა. არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა რთული გეგმარების ნაგებობა - სასახლის ცენტრალური ექვსსვეტიანი დარბაზი. 1,5 მეტრი სისქის კედლები ალიზის აგურითაა ნაგები. დარბაზის ხის სვეტები კირქვის ზარისებრი ფორმის ბაზისებს ეყრდნობა. ასევე, გამოვლინდა ალიზის აგურით ნაშენები კვადრატული პოდიუმი, რომელზეც, სავარაუდოდ, ტახტი ან საკურთხეველი უნდა მდგარიყო.

მუზეუმის ინფორმაციით, ბაზისების ზარისებრი ფორმა, ისევე როგორც ამავე ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალი - სავარაუდოდ კაპიტელის დეკორი,

შესაძლებლობას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ეს ნაგებობა აქემენიდური ხანისაა და ქრისტეს შობამდე დაახლოებით V-IV საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

როგორც ცნობილია, ზარისებრი ბაზისების ფორმა შემუშავდა ძვ.წ. V საუკუნის დასაწყისში აქემენიანთა სპარსეთის იმპერიის ცენტრებში - სუზასა და პერსეპოლისში და ლოტოსის ორნამენტიც აქემენიდური ხელოვნებისთვისაა დამახასიათებელი. ამავე პერიოდს, ძვ.წ. V საუკუნეს, განეკუთვნება ახლადაღმოჩენილი ნაგებობიდან სულ ორიოდე კილომეტრში, 1994-1995 წლებში, გათხრილი ე.წ. გუმბათის სასახლე, რომლის ზარისებრი ბაზისები საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის მუზეუმშია გამოფენილი.

ახლადაღმოჩენილი სასახლის ნაშთები მიწის ზედაპირიდან სულ ორმოციოდე სანტიმეტრში მდებარეობს და გუთნით ხვნის შედეგად ძლიერაა დაზიანებული.

ზარისებური ბაზისების კვეთილი დეკორი, როგორც ჩანს, ხანძრის შედეგად დაზიანდა და მხოლოდ რამდენიმე ბაზისის ქვედა ნაწილშია შემორჩენილი.

ქართულ-გერმანული საერთაშორისო არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელია - გერმანიის მხრიდან დოქტორი კაი კანიუტი (მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი), ქართული მხრიდან კი საქართველოს ეროვნული მუზეუმის მეცნიერ-კონსულტანტი იულონ გაგოშიძე. ექსპედიციაში ჩართული იყო გერმანელ გეოფიზიკოსთა ჯგუფი იორგ ფასბინდერის ხელმძღვანელობით; არქეოლოგიურ სამუშაოებში მონაწილეობდნენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მიუნხენის უნივერსიტეტის სტუდენტები.

C M Y K

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტი საქართველოს მიერ რესპუბლიკის ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა შეუნიღბავი აგრესიის ფაქტს წარმოადგენს

თვითგამოცხადებული „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პარლამენტმა საოკუპაციო ხაზთან არსებულ სიტუაციაზე განცხადება გაავრცელა, რომელშიც საქართველოს ხელისუფლების მიერ „რესპუბლიკის“ ტერიტორიაზე შეიარაღებული ფორმირებების შეყვანა შეფასებულია როგორც შეუნიღბავი აგრესიის ფაქტი, რომელიც რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციისკენ არის მიმართული.

„იმის მიუხედავად, თუ რომელი პოლიტიკური ძალები არიან საქართველოს ხელისუფლებაში, აგრესიული სახელმწიფო პოლიტიკა სამხრეთ ოსეთის ხალხის მიმართ ამ სახელმწიფოს პოლიტიკური ელიტის საქმიანობის უცვლელი შემადგენელი ნაწილია. აშშ-სა და ნატო-ს წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც მხარს უჭერენ საქართველოს მის პროვოკაციულ საქმიანობაში, უშუალოდ ეკისრებათ პასუხისმგებლობა სამხრეთ კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის ძირის გამოთხრაში“, - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც „პარლამენტის“ საიტზეა გამოქვეყნებული.

„სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პარლამენტი აცხადებს, რომ „პროვოკაციები, რომლებიც არღვევენ სამხრთ ოსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, ყველა შესაძლო, მათ შორის ძალისმიერი საშუალებებით იქნება აღკვეთილი“.

ანრი ოხანაშვილი სოფელ ჩორჩანაში ვითარებაზე - ჩვენთვის ულტიმატუმის ენით საუბარი მიუღებელია - უსაფრთხოების სამსახურების მიერ დაწყებული საქმიანობა ბოლომდე უნდა მივიდეს

ჩვენთვის ულტიმატუმის ენით საუბარი სრულიად მიუღებელია - ჩვენი უსაფრთხოების სამსახურების მიერ დაწყებული საქმიანობა ბოლომდე უნდა მივიდეს, - ასე გამოეხმაურა დეპუტატი ანრი ოხანაშვილი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებების გაერთიანებულ სხდომაზე სოფელ ჩორჩანაში არსებულ ვითარებას.

„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ იქ დაწყებული საქმე ბოლომდე მივიდეს, რათა დაცული იყოს ჩვენი ქვეყნის ინტერესები, რამდენადაც იქ ბლოკპოსტის მშენებლობა საჭიროა. ეს არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი. აქედან გამომდინარე, ყოველგვარი ულტიმატუმის ენით საუბარი არის სრულიად მიუღებელი. ჩვენ ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან, იმ მისიებთან, რომლებიც პროცესს აკვირდებიან, მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. სწორედ მათთამ ერთად შევძლებთ ყველა საკითხის დიდი პასუხისმგებლობით მოგვარებას“, - განაცხადა ოხანაშვილმა პარლამენტის ორი კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

„ბლოკპოსტის არსებობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცვლება, გამოვიყენებთ ყველა რესურსს რომ არ მოხდეს ვითარების ესკალაცია“,- ამის შესახებ სოფელ ჩორჩანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა დავით მათიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთი აგრძელებს თავის პროვოკაციულ ქმედებას ოკუპირებულ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე .

„უსაფრთხოების დაცვის მიზნით ქართული მხარის მიერ გადაწყვეტილებაა მიღებული ბლოკპოსტის არსებობის შესახებ და ამას არ შევცვლით. ასევე ჩვენ ვმუშაობთ ყველა საერთაშორისო პარტნიორთან, გამოვიყენებთ ყველა ფორმატს და რესურსს იმისთვის, რომ არ მოხდეს კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში რაიმე სახის ესკალაცია, იმ მოცემულობაში რომ ქართულმა მხარემ დაიცვას თავისი პრინციპული გადაწყეტილება”,- განაცხადა მათიკაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს წამოუყენეს ულტიმატუმი სოფელ წნელისთან ქართული პოსტის 30 აგვისტოს 06:00 საათამდე გაუქმების თაობაზე.

სოციალურად დაუცველი ოჯახი მოინახულეს

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ არბოშიკს ეწვია და მერის წარმომადგენელთან, მურად ელაშვილთან და საკრებულოს წევრ არსენ ბაღაშვილთან ერთად დათუკიშვილების სოციალურად დაუცველი ოჯახი მოინახულა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ნინო და გელა დათუკიშვილებს საკვები პროდუქტები მიუტანა, მათ პრობლემებს გაეცნო და უახლოეს მომავალში მოგვარებას შეპირდა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია საქველმოქმედო აქციებს პერმანენტულად ატარებს. მერის განცხადებით, აქცია ერთჯერადი არ არის და მერია სოციალურად დაუცველ მოქალაქეებზე ზრუნვას მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს.

ახალი ინვენტარი — სკოლებს

ახალი სასწავლო წლისთვის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 11 საჯარო სკოლა ახალ მერხებს მიიღებს. ამის შესახებ განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოფიციალურ ინფორმაციაშია ნათქვამი. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სულ 15 საჯარო სკოლაა, საიდანაც 11-ში ახალ ავეჯს შეიტანენ. გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, საერთო ჯამში დედოფლისწყაროში 452 ერთეული ახალი მერხი შემოვა. მერხები უფროსკლასელთათვის, მეორე მესამე საფეხურის კლასებისთვისაა გათვალისწინებული.

„შირაქმა“ სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სიას თვალი გადაავლო და საინტერესო დეტალები შეკრიბა. ახალ მერხებს მიიღებს:

ქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა - 60;
სოფელ სამრეკლოს სკოლა - 50;
ხორნაბუჯის საჯარო სკოლა - 32;
გამარჯვების საჯარო სკოლა - 70;
ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა - 40;
არხილოსკალოს საჯარო სკოლა - 30;
ზემო ქედის №1 სკოლა - 25;
ზემო ქედის №2 სკოლა - 65;
სამთაწყაროს საჯარო სკოლა - 36;
ფიროსმანის საჯარო სკოლა - 28;
არბოშიკის სკოლა - 16.

დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში განმარტავენ, რომ ახალი მერხები მუნიციპალიტეტის სკოლებში, ეტაპობრივად, გასულ წლებშიც შედიოდა, თუმცა ამჯერად პროცესმა უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო.

სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო სექტემბრისთვის ჯამში 122 500 სასკოლო მერხისა და სკამის შესყიდვას აპირებს, რისთვისაც ბიუჯეტიდან 8 მილიონ ლარზე მეტი აქვს გამოყოფილი.

შეგახსენებთ, უკვე დასრულდა დედოფლისწყაროში ორი საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია, მესამე შენობის ხელხლა მშენებლობა კი ახლა იწყება. „ათასწლეულის გამოწვევის“ პროგრამის ფარგლებში დედოფლისწყაროში ზემო ქედის და სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია განხორციელდა, ხოლო სოფელ ზემო მაჩხაანში ხანძრის შედეგად დამწვარი სკოლის ხელახლა მშენებლობა მიმდინარეობს, პროცესი რამდენიმე თვეა დაიწყო. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება თითქმის ყველა სკოლის შენობას, სადაც ამის საჭიროება არსებობს. პროცესს დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი კურირებს.

16 სექტემბრისთვის, როცა ახალი სასწავლო წელი ოფიციალურად დაიწყება, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ექვსი საჯარო სკოლა მოსწავლეებს განახლებული გარემოთი შეხვდება. სამუშაოების ნაწილი უკვე დასრულებულია, ნაწილი კი ახლაც მიმდინარეობს. ოთხი სკოლის რეაბილიტაციისთვის 360 000 ლარი ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გამოყო, ორი სკოლის რეაბილიტაცია კი მილენიუმის პროექტის ფარგლებში განხორციელდა.

-„სკოლებზე ზრუნვა ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულებაში გადმოვიდა. სოფელ ხორნაბუჯის სკოლაში შეიცვალა კარ-ფანჯარა, რაც ძალიან დიდი პრობლემა იყო. შენობაში, სადაც ცენტრალური გათბობაა, ძველი კარ-ფანჯრის გამო სითბოს შეკავება ვერ ხერხდებოდა. სამუშაოები მიმდინარეობს დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლაში, სადაც საპირფარეშოები კეთდება, შშმ პირებისთვის შეიქმნება ადაპტირებული გარემო, მოეწყობა სახურავი და ჩატარდება შიდა სამუშაოებიც. არბოშიკის სკოლაში კი დამატებითი საკლასო ოთახები კეთდება. სასწავლო წლის დაწყებამდე ინფრასტრუქტურული პრობლემები მოგვარდება ქვემო ქედის სკოლაშიც,” - აღნიშნავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

გარდა ამისა, მილენიუმის პროექტის ფარგებში სოფელ გამარჯვებისა და სოფელ ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლის რეაბილიტაცია განხორციელდა. ორივე საგანმანათლებლო დაწესებულება თანამედროვე სტანდარტებს სრულად შეესაბამება. სრულად განახლდა, როგორც შენობა, ისე აღჭურვილობა.

ეკატერინე მიქაბაძე - 2019 წლის ივლისში ეკონომიკური ზრდის მთავარი კონტრიბუტორი არის მშენებლობის, მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორები

2019 წლის ივლისში ეკონომიკური ზრდის მთავარი კონტრიბუტორი არის მშენებლობის, მრეწველობისა და ვაჭრობის სექტორები, - ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე მიქაბაძემ „საქსტატის“ მიერ დღეს გამოქვეყნებული მონაცემების შეფასებისას განაცხადა.

როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან „ინტერპრესნიუსს“ აცნობეს, ეკატერინე მიქაბაძემ ისაუბრა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციის შესახებ, რომლის თანახმადაც, წინასწარი შეფასებით, 2019 წლის ივლისში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად მაღალი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა და 6.1პროცენტი შეადგინა. 2019 წლის იანვარ-ივლისის საშუალო ზრდა 5.1პროცენტს გაუტოლდა.

„ეკონომიკური ზრდა საკმაოდ დივერსიფიცირებულია - 2019 წლის ივლისში ეკონომიკურ ზრდაში მთავარი კონტრიბუტორი იყო მშენებლობა, ასევე მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა მრეწველობასა და ვაჭრობაში. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია საგარეო ვაჭრობის მონაცემების მკვეთრი გაუმჯობესება - 2019 წლის ივლისში ექსპორტი გაიზარდა 17.5%-ით, სავაჭრო დეფიციტი 83.5 მლნ. აშშ. დოლარით შემცირდა,“ — აღნიშნა მიქაბაძემ.

მანვე გამოჰყო ძირითადი სექტორები, სადაც 2019 წლის ივლისში მთიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა.

„მშენებლობა, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა, ოპერაციები უძრავი ქონებით და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა - ეს ის ძირითადი სექტორებია, სადაც მიმდინარე წლის ივლისში მშპ-ს მნიშვნელოვანი რეალური ზრდა დაფიქსირდა. გაუმჯობესდა ზრდის ხელშემწყობი სხვა ფაქტორებიც - ივლისში 7.8 პროცენტით გაიზარდა წმინდა ფულადი გზავნილების მაჩვენებელი, რაც შიდა მოთხოვნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია და, შესაბამისად მისი ზრდა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე“ - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ.

მიქაბაძის თქმით, 2019 წლის ივნისში სავალუტო ფონდმა „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის“ ფარგლებში არსებული პროგრამის მეოთხე მიმოხილვა გამოაქვეყნა, სადაც ფონდი აქცენტს აკეთებს ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებაზე. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, მინისტრის მოადგიემ აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სავალუტო ფონდის მხარდაჭერას ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკისადმი.

მისივე განცხადებით, 2019 წლის აგვისტოში სარეიტინგო კომპანია „ფიტჩ“-მა საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი „BB“ დონეზე, ხოლო პერსპექტივა სტაბილურ მაჩვენებელზე დატოვა.

„ფიტჩ“-ის მიერ რეიტინგის უცვლელად დატოვება რეგიონში არსებული მდგომარეობის და გლობალური სავაჭრო დაძაბულობის ფონზე წარმოადგენს მნიშვნელოვან პოზიტიურ ფაქტორს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს საქართველოს მიმართ საერთაშორისო ინსტიტუტების და ინვესტორების ნდობას და პოზიტიურად აისახება ქვეყნის ბიზნეს გარემოზე. 2019 წლისთვის დაგეგმილია მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმების და კერძო სექტორის ხელშემწყობი ინიციატივების განხორციელება, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას“ - განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ.

„საქსტატის“ მონაცემებით, 2019 წლის ივლისში საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოთა ბრუნვა (რომლებზე დაკვირვებაც ხდება ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად) გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 16.7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ახლად დარეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა 4 152 ერთეულს გაუტოლდა და წინა წელთან შედარებით 0.5%-ით გაიზარდა.

„აღსანიშნავია, რომ 2018 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 1.1 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა და მშპ-ს 7.7% შეადგინა (8.8%-დან 2017 წელს), ხოლო 2019 წლის პირველ კვარტალში აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ს 6.2 პროცენტამდე შემცირდა. მთავრობის მიერ საგარეო მოწყვლადობის შემცირების მიზნით გადადგმული ნაბიჯები და განხორციელებული რეფორმები დადებითად აისახება საინვესტიციო გადაწყვეტილებებსა და ინვესტორთა განწყობაზე ჩვენი ქვეყნის მიმართ“, - აღნიშნულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

იგეგმება თუ არა საკადრო ცვლილებები მთავრობაში

ვინ არიან პრემიერობის ყველაზე რეალური კანდიდატები

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, ბიძინა ივანიშვილმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ უახლოეს მომავალში მოხდება მთავრობის შეცვლა. შს მინისტრის თანამდებობას ირაკლი ღარიბაშვილი დაიკავებს. პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე კი სავარაუდო კანდიდატებად სახელდებიან მოქმედი შს მინისტრი გიორგი გახარია, უმრავლესობის დეპუტატი ოთარ დანელია, ინფრასტრუქტურის მინისტრი მაია ცქიტიშვილი და აშშ-ში საქართველოს ელჩი დავით ბაქრაძე. "სამთავრობო ცვლილებები პოლიტიკური დღის მოთხოვნაა და ამ პროცესის დაწყება განპირობებულია ახალი პოლიტიკური სისტემით არჩევნების ჩატარებასთან. ამას სჭირდება ახალი ძალა და ახალი მუხტი, ადამიანები, ვინც პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აიღებენ, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდეს მშვიდ და სტაბილურ გარემოში და სიტუაცია ქაოსისკენ არ წავიდეს", - ასე ეხმაურება პოლიტოლოგი ვახტანგ მაისაია მოსალოდნელ სამთავრობო ცვლილებებს.

გახარიას კანდიდატურასთან დაკავშირებით, ოპოზიციაში აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ 20 ივნისის მოვლენების შემდეგ ივანიშვილი მაინც მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ პრემიერ-მინისტრად დანიშნოს გახარია, ეს მისი ხელისუფლების დასასრული იქნება. ასევე, გავრცელებული ინფორმაციით, გახარიასა და ღარიბაშვილის კანდიდატურებთან მიმართებაში აზრთა სხვადასხვაობაა თავად "ოცნებაშიც". მთავრობის შეცვლა პოლიტიკური დღის მოთხოვნაა და ამ პროცესის დაწყება უკავშირდება ახალი პოლიტიკური სისტემით არჩევნების ჩატარებას. ამას კი სჭირდება ახალი ძალა და მუხტი, ადამიანები, ვინც პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აიღებენ, რომ 2020 წლის არჩევნები მშვიდ და სტაბილურ გარემოში ჩატარდეს და ქვეყანაში სიტუაცია ქაოსისიკენ არ წავიდეს. დღევანდელი ტექნიკური მთავრობა კი ამას ვერ შეძლებს. რაც შეეხება სავარაუდო კანდიდატებს, ოთარ დანელიაც და დავით ბაქრაძეც მიუხედავად მათი პროფესიონალიზმისა, ფართომასშტაბიანი პოლიტიკური ფიგურები ვერ იქნებიან.

"საქართველოში, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადავიდა, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ძალიან მაღალი თანამდებობაა და სწორედ მის ხელშია ქვეყნის მართვის ბერკეტები. პრემიერ-მინისტრს სჭირდება სხვა მიდგომები. იგივე შეიძლება ითქვას მაია ცქიტიშვილზეც, მიუხედავად იმისა, რომ იგი მუშაობდა ადმინისტრაციაში და ქვეყნის მართვის სტილი იცის, ყველა ამ ოპტიმალური კანდიდატიდან, გახარიას მეტი შანსი აქვს, მას გააჩნია კრიზისების მართვის უნარი. მიუხედავად 20 ივნისის ტრაგიკული მოვლენებისა და იმ დაშვებული შეცდომებისა, გახარიამ კრიტიკულ სიტუაციაში მიიღო გადაწყვეტილება და ქვეყანა ქაოსს გადაარჩინა. ანუ, მას შეუძლია კრიზისულ სიტუაციაში პასუხისმგებლობის აღებაც და გადაწყვეტილების მიღებაც", - აცხადებს ვახტანგ მაისაია.

შეიძლება ამ ელემენტების გათვალისწინებით იქნეს მისი კანდიდატურა შერჩეული. ივანიშვილი გახარიას პრემიერ-მინისტრად დანიშვნით არაფერს კარგავს, ოპოზიცია მასთან ისედაც კონფრონტაციაშია შესული. ექსპერიმენტების დრო წავიდა, წინ არის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც პირველად ტარდება პროპორციული საარჩევნო სისტემით, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ამიტომ, ეს არჩევნები უნდა ჩატარდეს მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში, არჩევნების შემდეგ კი სიტუაცია ქაოსისკენ არ უნდა წავიდეს. ამიტომ, უნდა შეირჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას შეძლებენ. ვფიქრობ, გახარიას და ღარიბაშვილის ტანდემი ამ გამოწვევას გაუმკლავდება. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, რომ მთლიანად მთავრობა არ შეიცვალოს და შეიცვალოს მხოლოდ პრემიერი და შს მინისტრი. გახარიამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავოს, ღარიბაშვილმა კი შსს მინისტრის თანამდებობა", - დასძენს ვახტანგ მაისაია.

პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი აცხადებს, რომ სამთავრობო ცვლილებებზე მმართველ გუნდში საუბარი არ ყოფილა.

"ჯერ არ გვქონია შეხვედრა, სადაც ამაზე იქნებოდა საუბარი, თუ ასეთი იქნება, გაიგებთ",- აღნიშნა ჩუგოშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მედიაში ვრცელდება ინფორმაცია პრემიერ მამუკა ბახტაძის და მინისტრთა კაბინეტის ცვლილებაზე ინფორმაცია პრემიერ მამუკა ბახტაძის და მინისტრთა კაბინეტის ცვლილებაზე.

ოსი სეპარატისტების ულტიმატუმი – კრემლის დავალება თუ თვითნებობა?!

ბლოკპოსტის არსებობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიცვლება, გამოვიყენებთ ყველა რესურსს რომ არ მოხდეს ვითარების ესკალაცია - დაახლოებით ამგავრი შინაარსისაა საქართველოს თითქმის ყველა წარმომადგენლის განცხადებები. მათივე თქმით, რუსეთი აგრძელებს თავის პროვოკაციულ ქმედებას ოკუპირებულ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

ჩორჩანასა და წნელისის შუაში, ოკუპაციის ხაზის სიახლოვეს ქართული პოლიციის საგუშაგოს მოწყობის წინააღმდეგ ოსი სეპარატისტების მხარემ განსაკუთრებით გაილაშქრა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საგუშაგო თავად სეპარატისტების მიერ გავლებული "ბორდერიზაციის" ხაზის შიგნით, ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფება.

ულტიმატუმების გარდა ოსური მხარე ავრცელებს სხვადასხვა დეზინფორმაციას, მათ შორის იმასაც, რომ თურმე ქართველი პოლიციელები ამ საგუშაგოზე ბომბსაფარს აწყობენ, იქ იარაღის დიდ მარაგს შეინახავენ და თითქოს დიდი ომისთვის, შეიძლება "ბირთვული ომისთვისაც" კი ემზადებიანო...

სინამდვილეში, ამ მშენებარე საგუშაგოზე, რომელიც უცხოელმა დამკვირვებლებმაც მოინახულეს და ჟურნალისტების მთელმა "არმიამაც" დეტალურად გადაიღო, არავითარი გრანდიოზული ბომბსაფარი არ კეთდება.

ოსური მხარის მიერ დრონიდან გადაღებული ქართული პოლიციის მშენებარე საგუშაგოს ფოტოზე აღბეჭდილი ჩაბეტონებული სარდაფი კი იმისთვისაა, რომ საგუშაგოზე თავდასხმის შემთხვევაში ჩვენმა პოლიციელებმა ტყვიებისგან თავი შეაფარონ, მაგრამ როგორ დაიცავს იგივე სარდაფი ნაღმსატყორცნის ნაღმების დაცემისგან, ცოტა საეჭვოა.

შეგახსენებთ, ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა ქართულ მხარეს წაუყენეს ულტიმატუმი, ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანასთან, ოკუპირებელი სოფელ წნელისის მიმდებარედ არსებული ქართული საპოლიციო პოსტის 30 აგვისტოს 06:00 საათამდე გაუქმების თაობაზე. ექსპერტები და პოლიტოლოგები, უკვე მეორე დღეა მსჯელობენ, რას უნდა ნიშნავდეს სეპარატისტების ულტიმატუმი - როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კრემლის დავალებას ასრულებენ თუ თვითნებობენ?!

ვერსიებსა და მოსალოდნელ შედეგებზე სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტი ამირან სალუქვაძე საუბრობს:

- ბატონო ამირან, რა ინფორმაციას ფლობთ ამ საგუშაგოს შესახებ, რამდენად შეესაბამება რუსულ-ოსური წყაროების გავრცელებული ინფორმაცია, რომ ის განსაკუთრებული სამხედრო დანიშნულებით აშენდა?

- იმ ტერიტორიას კარგად ვიცნობ, ეს ყველაფერი მოარული ჭორი და სისულელეა. იქ არანაირი გვირაბები არ არის. **რაც შეეხება, ვერსიებს სეპარატისტის ულტიმატუმის შესახებ, ვერცერთ ვარიანტს ვერ გამოვრიცხავ, შესაძლოა ოსები მართლაც კრემლის წაქეზებით მოქმედებენ, თუმცა არც ის არის გამორიცხული, თვითნებობდნენ. ოსებმა მშვენივრად იციან, რომ მათ უკან რუსეთი დგას.** პროცესს უნდა დავაკვირდეთ რამდენიმე დღის განავლობაში, ვნახოთ დღეს, ხვალ, ზეგ რა განცხადებებს გააკეთებენ მოსკოვში. ის ფაქტი, რომ ჯერჯერობით სიმშვიდეა და უაზრო ულტიმატუმების იქით საქმე არ მიდის, მაფიქრებინებს, რომ სეპარატისტები სახელმწიფობანას თამაშობენ. თუმცა რა თქმა უნდა, რუსეთის იმედით. რომ არა რუსეთის მიერ სამი ათეული წლის განმავლობაში გატარებული პოლიტიკა, ოსები ასეთი ულტიმატუმების გაკეთებას ვერ გაბედავდნენ.

თუ ოსი სეპარატისტები რუსების წაქეზებით მოქმედებენ, ეს თავისთანავად ნიშნავს, რომ კრემლს საქართველოს პროვოკაციაზე წამოგება სურს. ამ კონკრეტულ ვითარებაში რისთვის შეიძლება სჭირდებოდეს ეს რუსეთს - დასავლეთთან სავაჭროდ თუ საქართველოსთვის იმის საჩვენებლად, რომ პუტინი „მოწყალეა"? თუ ეს ინციდენტი მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოგვარდა, რა თქმა უნდა, ყველაფერი პუტინის „კეთილ ნებას" მიეწერება.

ნახეთ, რამდენ დროს ანდომებს კრემლი საოკუპაციო ზოლის გავლებას ჩვენს ტერიტორიაზე. ეს წლების განმავლობაში გრძელდება. როგორ ფიქრობთ, ამ ამბავს რუსეთი უფრო ადრე ვერ მოამთავრებდა?! ყირიმში უცებ ააშენეს ავტობანი და რკინიგზაც გაიყვანეს. იქ ასე სჭირდებოდათ და იმიტომ. გუგუტიანთკარში თითო ბოძის ჩასობას უამრავი დრო შეალიეს. კრემლი ხედავს, რომ საქართველოში ყოველი ახალი ბოძის ჩასობა და ადმინისტრაციული საზღვარის ოდნავ გადმოწევა პოლიტიკურ წრეებსა თუ საზოგადოების სხვადასხვა ნაწილს შორის სერიოზულ დაპირისპირებებს იწვევს. ეს კი შესანიშნავი ბერკეტია საქართველოში არეულობის მოსაწყობად! რუსეთ-საქართველოს ომი ჯერ არ დასრულებულა. **ოკუპაცია ჩვეულებრივი ომია, ჩვენ დაზავებულებიც კი არ ვართ რუსეთთან. მხოლოდ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებაზე გვაქვს ხელი მოწერილი...**



ქართველები კი იდეის დონეზეც არ ვართ ჯერ ჩამოყალიბებული, როგორ უნდა მოვაგვაროთ არსებული პრობლემა და როგორ უნდა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები. ორი დღეა, ინტენსიურად ვადევნებ თვალყურს, სოციალურ ქსელში იმ ადამინების კომენტარებსა და მოსაზრებებს, რომლებსაც საზოგადოებაზე გავლენა აქვთ. ისეთი ადამიანები ალაპარკდნენ, ნატოში შაცვლის სანაცვლოდ ცხინვალისა და აფხაზეთის დათმობაზე, რომ ლამისაა გული გამისკდეს. ადრე ამას ვერავინ წარმოიდგენდა.

- ვის გულისხმობთ?

- კონკრეტული გვარ-სახელების დასახელებისგან თავს შევიკავებ. მე იმაზე მინდა აქცენტის გაკეთება, რომ კრემლს როგორც მოუნდება, ისე ურევს და აწყობს საქართველოში ვითარებას. საკმაოდ გაზრდილია იმ ადამიანთა როცხვიც, ვინც ამბობს, რომ ნატოში მაინც ვერასდროს გავწევრიანდებითო. გადაწყვეტილების მიმღებ ქართველებს, პოლიტიკოსებს იმის უნარიც არ შესწევთ, რომ ერთი ნორმალური ფორუმი ჩავატაროთ და გადავწყვიტოთ, როგორ გავიყვანოთ ქვეყანა ფონს. არაფრის მომცემ კონფერენციებს ვაწყობთ და ამისთვის უამრავ დროსა და ფულს ვხარჯავთ. ყველაფერს ვაკეთებთ იმის გარდა, რაც აუცილებელი და მნიშვნელოვანია. რუსეთს რა უნდა მოვთხოვოთ, როდესაც ჩვენ ვერ შევჯერებულვართ, რა გვინდა და როგორ გვინდა?

- არსებობს ვერსია, კრემლის გაღიზიანება ამჯერად ლევან იზორიას განცხადებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც თვის ბოლომდე ამერიკული ინფრატრუქტურის შექმნა იგეგმება...

- სულ რომ არავის არაფერი ეთქვა, რუსეთი მაინც გააკეთებდა იმას, რაც უკვე გააკეთა. მომავალშიც ასე მოიქცევა, ეს მისი მეთოდია.

რა სიახლეებს სთავაზობს განათლების სამინისტრო სკოლებს 2019-2020 სასწავლო წლისთვის

რა ცვლილებები შედის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, როგორ გადანაწილდება ახალი საათობრივი ბადე, რომელ კლასში დაინერგება ახალი სახელმძღვანელო - ამ და სხვა თემებზე ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო რესურსების შეფასების სამმართველოს უფროსი მარიამ ჩიქოვანი საუბრობს.

- მე-7 კლასში ახალი გრიფირებული სახელმძღვანელოები შედის. გვაინტერესებს მზად არის თუ არა სახელმძღვანელოები და ხომ არ დაურიგდათ უკვე სკოლებს?

- დიახ, წელს საბაზო საფეხურის მე-7 კლასში მოსწავლეები თვისებრივად შეცვლილი პროგრამებით ისწავლიან. სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსიც ახალი პროგრამების მიხედვით გამოცხადდა. ამ ეტაპისთვის პროცესი დასრულებულია. გამოვლენილია გრიფირებული სახელმძღვანელოები. სკოლებმა უკვე გააკეთეს არჩევანი და სწავლის დაწყებისთვის ყველა მეშვიდე კლასელს ახალი სახელმძღვანელოები დახვდება საგნებში.

- გრიფირება ვერ გაიარა რუსული ენის სახელმძღვანელომ, რა ალტერნატივას სთავაზობს განათლების სამინისტრო სკოლებს?

- რუსულის, როგორც უცხოური ენის შემთხვევაში, სკოლებმა, ცხადია, პირველ რიგში უნდა იხელმძღვანელონ განახლებული სტანდარტით. სასწავლო პროცესში შეუძლიათ დაიხმარონ ის სახელმძღვანელოები, რომლითაც გასულ წლებში ასწავლიდნენ.

- ასევე, მეშვიდე კლასში შედის ახალი საგანი „მოქალაქეობა“, სხვა კლასებშიც თუ არის ამ მხრივ სიახლე და რომელიმე კლასში თუ შედის ახალი საგანი?

- დიახ, საბაზო საფეხურზე სიახლეებს ვთავაზობთ სკოლებს. როგორც აღვნიშნე, პროგრამები არის თვისებრივად განახლებული. თუმცა, დანერგვა კლასკლას მოხდება: 2019-2020 სასწავლო წელს ინერგება VII კლასი, მომდევნო წელს დაინერგება VIII კლასი და ა.შ. ახალი საგანი ემატება საბაზო საფეხურს VII კლასიდან - „მოქალაქეობა“. სამოქალაქო განათლება საბაზო საფეხურზე ამ დრომდე მხოლოდ მეცხრე კლასში ისწავლებოდა, ახლა დაიწყება მეშვიდე კლასიდან, როგორც დამოუკიდებელი საგანი და გაგრძელდება მერვე-მეცხრე კლასებშიც. ამ საგანში მეშვიდე კლასში 5 მსხვილი თემა გვაქვს: თემი, რომელშიც ვცხოვრობთ, სასკოლო გარემო, ანუ სასკოლო საზოგადოება, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბუნებრივი მემკვიდრეობის და კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ეკონომიკური ურთიერთობები თემში.

მთელი წლის განმავლობაში ამ ხუთ თემის ფარგლებში მოსწავლეები შეძლებენ გააცნობიერონ თავიანთი და სხვა ადამიანების უფლებები და მოვალეობები, ისწავლიან, როგორ დასახონ მოკლე და გრძელვადიანი მიზნები, გაიაზრებენ მდგრადი განვითარების პრინციპებს, მოხალისეობრივი კულტურის მნიშვნელობას, ისწავლიან როგორ ამოიცნონ მათ თემში არსებული პრობლემები და რა ქმედებები განახორციელონ (მათ შორის სამართლებრივი კუთხით) მათ გამოსასწორებლად და ა.შ... საორიენტაციოდ წლიურ პროგრამაში შეთავაზებული ასეთი საკითხები, დაწერილი და დაუწერელი წესები; არასრულწლოვანი და დანაშაული; საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება; თანასწორობა სკოლაში, „მწვანე სკოლა“, ბულინგი, ადრეული ქორწინება, ჯანსაღი კვება, კერძო და საჯარო საკუთრება; შემოსავალი, ხარჯვა და ბიუჯეტირება (პირადი ფინანსების მართვა); დაზოგვა და ქველმოქმედება. კულტურული მრავალფეროვნება ჩემ გარშემო და სხვა.

- დამატებით რა სიახლეებს სთავაზობთ 2019-2020 სასწავლო წელს ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოსწავლეებს?

- გარდა ზემოხსენებული სიახლისა, ცვლილება შეეხო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლებას. როგორ იცით, მეშვიდე კლასში გვქონდა კომბინირებული საგანი „საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები“ (ანუ ფიზიკა, ქიმია ბიოლოგია ერთ სახელმძღვანელოში იყო და ხშირ შემთხვევაში ერთი რომელიმე საგნის პედაგოგი ასწავლიდან ამ საფუძვლებს).

2019-2020 სასწავლო წლიდან, მეშვიდე კლასში ბიოლოგია და ფიზიკა დამოუკიდებელ საგნებად შემოვა კვირაში 2 საათიანი დატვირთვით, ხოლო ქიმია მერვე კლასიდან დაემატება.

- საათობრივი ბადის მხრივ თუ არის სიახლეები და კონკრეტულად რა სიახლეა?

- საათობრივი ბადის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა, რაც სკოლების მეტ დამოუკიდებლობას და შემოქმედობითობას შეუწყობს ხელს.

სკოლებს ვთავაზობთ სამი ტიპის ბადეს: ერთი არის აქამდე არსებული, ხისტად გაწერილი კვირეული დატვირთვით. მეორე ტიპის ბადეში მთავარია სკოლამ დაიცვას საგნის წლიური საათების ჯამური რაოდენობა, ხოლო როგორ გადანაწილდება სემესტრებისა და კვირების მიხედვით, ამაში მას თავისუფლება აქვს. მესამე ვარიანტი სკოლას აძლევს შესაძლებლობას თავად შექმნას სრულიად ახალი ბადე.

მეორე ან მესამე ვარიანტის შერჩევისას, საჯარო სკოლამ აუცილებლად უნდა წარმოადგინოს დასაბუთება: სიტუაციური ანალიზი (მაგ. რა პრობლემებს უქმნის სკოლას კვირის ჯერადი საათების ხისტი განაწილება); ცვლილების არსი (ანუ მიზნები და ამოცანები, სადაც დეტალურად იქნება ახსნილი, რა ტიპის ცვლილებები განხორციელდება საათობრივ ბადეში); მოსალოდნელი შედეგები (რატომ ფიქრობს სკოლა, რომ დაგეგმილი ცვლილებები მოუტანს შედეგს; რა ცვლილებებს გამოიწვევს ბიუჯეტურად. რაიმე სპეციალური ფორმა ამ დასაბუთების წარმოსადგენად შეთავაზებული არ გვაქვს. მთავარია მკაფიოდ ჩანდეს, რომ სკოლას ბადესთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებები ერთიან კონტექსტში აქვს გააზრებული და ერთი პრობლემის გადაჭრა არ გამოიწვევს სხვა პრობლემის გაჩენას.

- თუ იგეგმება ახალი სასწავლო წლისთვის სხვა სიახლეები სკოლებში?

- დიახ, უმთავრესი სიახლე პროექტს - „ახალი სკოლის მოდელი“ უკავშირდება, რომლის მიზანია საკლასო ოთახებში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა. პროექტის ფარგლებში სკოლაში შედის ოთხწევრიანი მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც ერთი სემესტრის განმავლობაში თანამშრომლობს სასკოლო საზოგადოებასთან ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ორიგინალური სასკოლო კურიკულუმის (სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსობრივი ნაწილის) შექმნა, ტექნოლოგიების სწავლა-სწავლების პროცესში დანერგვა, სკოლის ქცევა სოციალურ-კულტურული აქტივობების ცენტრად, სკოლებში მხარდაჭერაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის აწყობა.

როგორც მოგეხსენებათ, პროექტი ამჯერად 165 სკოლაში მიმდინარეობს და I-IV კლასებს მოიცავს. 2020 წელს იგეგმება პროექტის 400 სკოლაში განვრცობა და მასში V-IX კლასის მოსწავლეებისა და მასწავლებლების ჩაბმა. 2024 წლამდე პროექტი საქართველოს ყველა სკოლას დაფარავს.

ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები ცნობილია

2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგები ცნობილია, - ინფორმაციას ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრი ავრცელებს.

უწყების ცნობით, უმაღლეს სასწავლებლებში 28 740 აბიტურიენტი, ანუ დაახლოებით მათი 71% ჩაირიცხა. ეს წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია, რადგან შარშან მსურველთა 69%-მა ჩააბარა.

რაც შეეხება გრანტს, ის დაახლოებით 6546-მა აბიტურიენტმა მოიპოვა. მათგან, 100%-იანი დაფინანსება 1116-მა აბიტურიენტმა აიღო, 1452-მა 70%-იანი დაფინანსება, ხოლო 50%-იანი დაფინანსება 4483-მა აბიტურიენტმა მიიღო.

ცენტრის ინფორმაციით, წელსაც პოპულარულ მიმართულებებს შორისაა ბიზნეს ადმინისტრირებისა და სამართლის ფაკულტეტები. ასევე, საკმაოდ პოპულარული აღმოჩნდა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამები.

აბიტურიენტებს ჩარიცხვებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ ინფორმაციის ნახვა შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე შეუძლიათ.

საბოლოო შედეგების სანახავად აბიტურიენტი სისტემაში პირადი ნომრითა და საგამოცდო საიდენტიფიკაციო კოდით უნდა შევიდეს. შედეგების გაგებას აბიტურიენტები მოკლე ტექსტური შეტყობინებითაც შეძლებენ. ამისათვის აპლიკანტმა მობილური ტელეფონიდან (მაგთი, ჯეოსელი) საკუთარი საგამოცდო საიდენტიფიკაციო ნომერი უნდა გააგზავნოს ნომერზე 93333 (მომსახურების საფასური 0.50 ლარი ჩამოიჭრება ანგარიშიდან იმდენჯერ, რამდენჯერაც აბონენტი გააგზავნის შეტყობინებას).

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სულ დარეგისტრირებული იყო 41 000 აპლიკანტი. აბიტურიენტებს პირველადი შედეგების გასაჩივრება ან კონკრეტული დავალების შეფასება შეეძლოთ.

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდები უკვე ახალი მოდელით ჩატარდება. აბიტურიენტები 4 სავალდებულო გამოცდის ნაცვლად სამს ჩააბარებენ. ცვლილების მიხედვით უმაღლეს სასწავლებელებს უფლება ეძლევათ გამოცდაზე მათთვის სასურველი საგანი დაამატონ.

მიხეილ ბატიაშვილი — ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი, ოქტომბრიდან ანაზღაურება გაეზრდება

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი და პრემიერ-მინისტრი დღეს მასწავლებლებს პრეზიდენტის ცერემონიათა სასახლეში შეხვდნენ და განათლების რეფორმის ფარგლებში პედაგოგებისთვის სახელფასო ზრდის შესახებ ისაუბრეს.

მიხეილ ბატიაშვილის თქმით, ხელფასი ოქტომბრიდან სტატუსის მქონე ყველა პედაგოგს გაეზრდება.

„2019 წლის ოქტომბრის დასაწყისში ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი და მინიმუმ 15 საგაკვეთილო საათი, ანაზღაურება 150 ლარით გაეზრდება. პედაგოგებს, რომლებსაც 15 საათზე ნაკლები დრო ექნებათ, ხელფასი 100 ლარით გაეზრდებათ. ანუ ფაქტობრივად, ყველა პედაგოგს, რომელსაც სტატუსი აქვს მინიჭებული, ხელფასის ზრდა შეეხება.



უფროსი მასწავლებელი მიიღებს სტატუსის გარდა, საათობრივ დანამატთან ერთად 1011 ლარს; წამყვანი მასწავლებელი - 1435 ლარს, ხოლო მენტორი მასწავლებელი - 1745 ლარს. მეტი საგაკვეთილო საათის შემთხვევაში ანაზღაურება კიდევ უფრო მეტი იქნება“,- განაცხადა მინისტრმა და აღნიშნა, რომ მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატება 2022 წლის ჩათვლით გაგრძელდება.

„პედაგოგების ანაზღაურების ზრდის ტენდენცია ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის უფროსი მასწავლებლის ანაზღაურება იქნება 1700 ლარი, წამყვანის - 2135, ხოლო მენტორის - 20445 ლარი“, - განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

დანაშაული და ფსიქიკური აშლილობა

შემთხვევა, რომელიც პეკინის ქუჩაზე მოხდა, საზოგადოების აღშფოთებისა და განხილვის საგანი გახდა. მცირეწლოვანი ბავშვი მშობლებთან ერთად მოდიოდა, როცა მასთან უცნობი ქალი მიიჭრა და დანით სახის არეში დაჭრა. ბავშვი საავადმყოფოში გადაიყვანეს. დაჭრაში ბრალდებული თამარ საძაგლიშვილი, შარშან ფსიქიატრიულში მკურნალობდა. ეს ინფორმაცია დაკავებულის ოჯახის ახლობელმა დაადასტურა. როგორც დაკავებულის ადვოკატი ალექსი გაბუნია აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს ფსიქიკური პრობლემები აქვს. ადვოკატის თქმითვე,მას არაფერი ახსოვს მომხდარი ფაქტის შესახებ.ის საბურთალოს რაიონში, ყაზბეგის და ვაჟა ფშაველას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე ცხოვრობს. ვაჟას ძეგლთან მცხოვრები მოსახლეობა ყვება, რომ კადრების გავრცელებისთანავე ამოიცნეს . ბავშვების მიმართ ძალადობაში შემჩნეული არაერთხელ ყოფილა. უბნის ბავშვებს დაიჭერდა და ფიზიკურად უსწორდებოდა. მათივე ინფორმაციით, ქალი მოწყალებას ქაშუეთის ეკლესიის წინაც ითხოვდა.

არადა...

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გარდა ნებაყოფლობითი სტაციონარული დახმარებისა, კანონი ითვალისწინებს, პირის იძულებით მოთავსებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მისი მკურნალობის მიზნით. შესაბამისად, კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და სასამართლოს მიერ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, თუ პირი, რომელიც თავისი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის, კერძოდ, ფსიქიკური აშლილობის გამო, საფრთხეს უქმნის სხვის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას ან მისი მოქმედებიდან მომდინარე (მისთვის ან სხვისთვის) შესაძლოა შექმნას მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენების საფრთხე, ის, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შესაძლოა დაექვემდებაროს იძულებითი მკურნალობის გადაწყვეტილებას. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, არ არის აუცილებელი პაციენტის, პირის კანონიერი წარმომადგენლისა და ნათესავის თანხმობა და ეს საკითხი სრულად, სახელმწიფოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად აღესრულება. არანებაყოფლობითი სტაციონირებისას, პირებს არ აქვთ მკურნალობაზე უარის თქმის უფლება, რამდენადაც კანონი საუბრობს არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ დახმარებაზე, რომელიც მკურნალობის კომპონენტს ავტომატურად მოიაზრებს. ზემოაღნიშნული რეგულაციისაგან განსხვავებით, ნებაყოფლობითი სტაციონირების დროს, პირს შეუძლია უარი თქვას მკურნალობაზე, თუ ის ქმედუნარიანი და სრულწლოვანია, თუმცა, ექიმის დასკვნის შესაბამისად, თუ პირის მდგომარეობა ამ მომენტში შეესაბამება არანებაყოფლობით მკურნალობას დასაქვემდებარებელი პირის მდგომარეობას, ექიმს შეუძლია ბენეფიციარისა და მისი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, მიიღოს შესაბამისი ზომები პირის არანებაყოფლობითი მკურნალობის შესახებ .

ყველამ იცოდა, რომ საჭიროებდა მკურნალობას, მაგრამ მიიღეს თუ არა შესაბამისი ზომები პირის ოჯახმა? მაინც და მაინც დანაშაული უნდა ჩაედინა?!

პეკინის გამზირზე სამი წლის ბავშვზე მომხდარ საზარელ თავდასხმას, სოციალურ ქსელში, უამრავი ადამიანი გამოეხმაურა. მათ შორის, თავის აზრს და აღშფოთებას ცნობილი ქალბატონებიც გამოხატავენ.

ირინა ონაშვილი: - ვწევარ და ვფიქრობ ამ ბავშვზე, რომელიც ჩემი შვილის ტოლია ზუსტად და იგივე მაისური აცვია:(ვფიქრობ იმ ხალხზე, ვინც ამას ასე ურეაქციოდ უყურა და ძალიან მეშინია ასეთი ხალხის, ვფიქრობ ფსიქიატრიულიდან გამოქცეულ პაციენტებზე, რომლებიც ასე დაპარპაშებენ ქუჩებში, ვფიქრობ ხვალინდელ დღეზე და ამასობაში სხვა პრობლემები სრულიად დამავიწყდა.

ნანკა კალატოზიშვილი: - რატომ ვუყურე ამ კადრებს, რატომ? რამდენიმე საათია ძალიან ცუდად ვარ. მეტზე ვერაფერზე ვფიქრობ, დავისტრესე.

ანა გიუნტერი: - ღმერთმა ყველას აშოროს და იმ პატარას მალე გამოჯანმრთელება და ბედნიერი ცხოვრება. ბავშვის მამა არ მგონია ნაკლებად განიცდიდეს ამ ამბავს, ვიდრე ბავშვის ფბ გულშემატკივრები. ამ დროს ძირითადად ჩნდება პოსტები: ნეტა დამანახა დაჩეხილი, ნეტა ჩაალპონ და მოკლან ეს ქალი და ა.შ. ესეც დამახასიათებელია ადამიანებისთვის, და გვახსოვს ისტორიული ფაქტები თავის მოკვეთის საჯარო რიტუალების. მათ შორის, სადაც ხალხი ტაშს უკრავდა. თუმცა დღეს ვერ წარმომიდგენია ადამიანი, რომელიც სიხარულით დაესწრება სხვის მოკვლას. მაინტერესებს სხვა ამბავი: ეს საზარელი ფაქტი თუ გახდება ბიძგი იმისა, რომ შეიხედონ ფსიქიატრიულ დაწესებულებებშიც? აი, იქ ხდება ის ამბავი, რის გამო ოჯახებს ამ ქალის მსგავსი პაციენტები სახლში ჰყავთ გამოკეტილი... ეს ძალიან მწარე რეალობაა, თუმცა არა - უიმედო. ნეტა ვისი მისახედია?

საქართველოში მრავალი წელია მწვავედ დგას ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის სწორად და ეფექტურად გატარების პრობლემა. მიუხედავად იმისა,რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო

პროგრამის ბიუჯეტი იზრდება, პარალელურად მზარდია ქცევითი აშლილობის მქონე ადამიანების სტატისტიკა ჩვენს ქვეყანაში. ბოლო კვლევების თანახმად, საქართველოში ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით,ჩვენს ქვეყანაში ყოველი 100ათასი ადამიანიდან 140-ს ფსიქიკური ან ქცევითი აშლილობა აქვს. როგორც ამ სფეროს ექსპერტები აფასებენ, ეს მაჩვენებელი საკმაოდ საგანგაშოა და ყურადღების გამახვილებასა და მეტ აქცენტირებას საჭიროებს.

ფსიქიატრი მანანა შარაშიძე მედიასთან საუბარში აცხადებს :- „ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ძალიან ბევრი პრობლემაა. პირველ რიგში, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო მართვას სჭირდება გაუმჯობესება, მეორე - დაფინანსება არის მნირი და არაადექვატური. კადრების სიმწირეც მნიშვნელოვანი პრობლემაა. როცა დარგი კარგად არ ფინანსდება, ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდები ამ სფეროში საქმიანობით არ ინტერესდებიან და შესაბამისად არ ხდება კადრის განახლება. გარდა ამისა, თვითონ დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციაც სათანადო არ არის. აგრეთვე, იმ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, რომლებიც დარჩა, პრობლემებია ადამიანთა უფლებების კუთხით. სახალხო დამცველის მონიტორინგის ანგარიშმაც აჩვენა ეს, რომ მიუხედავად პროგრესისა, იქ ისევ ირღვევა ადამიანთა უფლებები. გაუმჯობესდა საყოფაცხოვრებო პირობები, უკეთესი გარემოა, მაგრამ პაციენტთა მიმართ დამოკიდებულებები მოძველებულია. ამ სტრატეგიაში ხაზგასმულია ძალიან მნიშვნელოვანი რამ - ჯერ-ჯერობით ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემა დაფუძნებულია მხოლოდ სამედიცინო მოდელზე და არა ბიო-ფსიქო-სოციალურზე. მკურნალობა ხდება მხოლოდ მედიკამენტებით, ფსიქოსოციალურ ინტერვენციები ვერ ტარდება. პაციენტთან მხოლოდ ფსიქიატრი არ უნდა მუშაობდეს. მას კომპლექსური დახმარება სჭირდება, სოციალური მუშაკის, შრომათერაპევტის და ა.შ.“

ჯანდაცვის სამინისტრომ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში ცვლილებები შეიტანა. წესის ცვლილებამ საქართველოში ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში მოქმედი ფსიქიატრიული განყოფილებების დახურვა გამოიწვია. დარგის სპეციალისტების შეფასებით, ამან ფსიქიატრიული სერვისების კოლაფსი გამოიწვია და მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას. მწვავე ფსიქიკური აშლილობების მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხები დაახლოებით 40% შემცირდა, რის გამოც თბილისში ზოგადი პროფილის საავადმყოფოებში მოქმედი სამი ფსიქიატრიული განყოფილება იძულებული გახდა შეეწყვიტა პაციენტების მიღება და გაეუქმებინა 90 მწვავე პაციენტისთვის განკუთვნილი საწოლი. თბილისში მომსახურებას განაგრძობს მხოლოდ ორი ფსიქიატრიული კლინიკა, რომელიც გადავსებულია და, შესაბამისად, სასწრაფო დახმარების ბრიგადასაც კი უარს ეუბნება პაციენტების მიღებაზე. შედეგად, ფსიქიატრიული დახმარების საჭიროების მქონე ადამიანები რჩებიან მომსახურების გარეშე. დარგის სპეციალისტთა აზრით, დაუშვებელია რეფორმის შედეგად შექმნილი ფსიქიატრიული სერვისის გაუქმება დაფინანსების მოდელის გაუაზრებელი ცვლილების გამო.

როდესაც ასეთია რეალობა ქვეყნის დედაქალაქში, რა თქმა უნდა, გაცილებით მოუწესრიგებელია ეს პრობლემა რეგიონებში. მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან მწვავედ დგას ეს საკითხი ჩვენს რაიონშიც. მომრავლებულია ფსიქიკურად არასტაბილური პიროვნებები, რომლებიც თავისუფლად გადაადგილდებიან ქუჩებში, ითხოვენ ფულს და უარის შემთხვევაში საკმაოდ აგრესიულებიც ხდებიან. არ არის გამორიცხული აგრესიის დროს ჩაიდინონ რაიმე დანაშაულიც.

ამ პრობლემის შესახებ გავესაუბრეთ ბატონ გოგი კიკილაშვილს: - „ყველაფერი ეს საზოგადოებაში უღმერთობას უკავშირდება, სულიერი ცხოვრება მთლიანად ჩავკალით და გადავედით მხოლოდ და მხოლოდ მიწიერ-მატერიალურ ცხოვრებაზე. ასეთ ცხოვრებაში კი ფსიქო- აშლილობები, დეპრესიები, უიმედობა, კამათი , სხვა და სხვა პრობლემები იჩენს თავს არა მხოლოდ ადამიანთა შორის ,არამედ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის, სახელმწიფოებს შორისაც, ისე რომ, რამდენადაც მეტად დავშორდებით ღმერთს, იმდენად მეტად გაიზრდება ფსიქო-ემოციური ფონის სიმძიმე საზოგადოებაში.“

როგორი ფონია ამ მხრივ ჩვენს რაიონში?

დიდი ხანია ჩამოვშორდი სამედიცინო პრაქტიკულ საქმიანობას,მაგრამ რეალურად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან კონტაქტისას, ქუჩაში, საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს, როგორც ექიმს შემიძლია ვთქვა,რომ ფონი აშკარად მომატებულია.

როგორ ხდებოდა ფსიქიკურად არასტაბილური პიროვნებების აღრიცხვა?

პოლიკლინიკის ბაზაზე ფუნქციონირებდა ფსიქოლოგიური კაბინეტი,სადაც ხდებოდა აღრიცხვა,თუმცა ის აღრიცხვიანობა დღევანდელ აღრიცხვიანობის ხარისხსა და თვისობრივ ნიშანს ცოტათი განასხვავებს. კერძოდ, აღირიცხებოდა არა იმ კუთხით თუ ვინ მოგმართავდა, ან ვის ჰქონდა ამის სურვილი. არამედ, მაშინ როდესაც არსებობდა წინაპირობა შესაბამისი ადამიანი იძულებით მკურნალობაზე უნდა გაგზავნილიყო თუ არა. გასაგებია, რომ ფსიქიატრიული იძულებითი მკურნალობის ფორმა კომუნისტურ რეჟიმში სხვა პოლიტიკური მიზნებისათვისაც იყო გამოყენებული, მაგრამ მისი ასე ერთი ხელის მოსმით გაუქმებამ, გამოიწვია ის, რომ, ადამიანი,რომელიც სერიოზულ სამედიცინო ჩარევას მოითხოვა და მას ე.წ. პატრონის უქონლობის გამო, ან პირადი გაუცხოების გამო არ მიმართავს შესაბამის კაბინეტს, იგი რჩება ქუჩაში, როგორც ერთ-ერთი რისკი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და პოტენციური დამნაშავის სახით. სახეზეა მაგალითი, თბილისში ჩადენილი დანაშაული, ბავშვის დაზიანების სახით.

კანონმდებლობის თანახმად, გარდა სტაციონარული დახმარებისა, გათვალისწინებულია პირის იძულებითი მოთავსება შესაბამის დაწესებულებაში. რატომ დადის ამდენი ფსიქიკურად არასტაბილური ადამიანი თავისუფლად ქუჩაში?

იძულებითი მკურნალობის კანონიზაცია არ გულისხმობს პრევენციულ ელემენტს, ანუ ადამიანმა ფაქტები უნდა შექმნას, რომელიც შეუთავსებელია საზოგადოებრივ საქმიანობასთან და ამ ფაქტების დაფიქსირების მერე ხდება სამწუხაროდ მისი იძულებით მკურნალობაზე გადაყვანა. აქედან გამომდინარე, თვითონ საზოგადოება არ არის მზად იმისათვის, რომ როდესაც ატყობს პიროვნებას არაადექვატურობას, მიმართოს შესაბამის სტრუქტურებს და მოხდეს მათზე პრევენციული დაკვირვება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. სამწუხაროდ, ეს ხდება მხოლოდ მომხდარი ფაქტის შემდეგ.

ქვეყანაში სულ რამდენიმე ფსიქიატრიული კლინიკა ფუნქციონირებს, დანარჩენი დაიხურა. არსებული დაწესებულებები ვერ აუდიან მომრავლებულ პაციენტებს. საჭიროა თუ არა დღეს ასეთი კლინიკები?

რა თქმა უნდა, საჭიროა, თუმცა ის რაოდენობაც, რაც შექმნილი ჰქონდა საბჭოთა სისტემას ფსიქო-აშლილობების გამო, სტაციონალური მკურნალობისათვის, ის რაოდენობაც მგონია რომ გადაჭარბებული იყო. მაგრამ, როგორც ყველა საქმეში, რაღაც ოქროს შუალედი უნდა მოეძებნათ. ხშირად ადგილი აქვს ეკონომიკურ ფაქტორს. მიიღებენ ავადმყოფს იმიტომ, რომ გამძაფრებულია მისი მდგომარეობა და ორი, სამი დღის შემდეგ, მისი ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებით უშვებენ სახლში. ეს ადამიანი ბრუნდება იგივე გარემოში, რა გარემოშიც მან ეს აგრესიულობა მიიღო და რეციდივი სახეზეა.

როგორია ამ პრობლემის გადაჭრის გზა?

საზოგადოება თვითონ უნდა იყოს გაწონასწორებული ფსიქიკის მქონე, რომ ჰქონდეს ადექვატური დამოკიდებულება ასეთი პიროვნებების მიმართ. უნდა დავიწყოთ არა მხოლოდ იმ კონკრეტული პიროვნებების გაჯანსაღება, რომლებიც ამ მდგომარეობაში არიან, არამედ მთლიანი საზოგადოების. საზოგადოების გაჯანსაღებას კი რწმენაში გაძლიერება განაპირობებს. სხვანაირად საზოგადოებაში თანხმობა ვერ მიიღწევა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, გამოსავალი, გარდა საზოგადოების მენტალიტეტისა და მისი გაჯანსაღებისა, სწორად მიმართული ბიუჯეტი, ადექკვატურად გადანაწილებული ხარჯები და ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომაა. მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ სამედიცინო მოდელმა არ გაამართლა და ის შეცვლას საჭიროებს. თანადგომის წრე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ამ მოდელში და გვეუბნება, რომ თანადგომისა და მხარდაჭერის გარეშე ადამიანებს უჭირთ გამოსავლის პოვნა და შედეგად, პრობლემებზე რეაგირებაც. არსებობს მხარდაჭერა, არსებობს სურვილი, სურვილი კი მთასაც გადაადგმევინებს ადამიანს. მთავარია სწორი მიდგომა და რეალური ქმედება.

მოამზადა
ხათუნა გენაშვილმა

როგორ მოქმედებს სოციალური ქსელი ადამიანებზე?

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელები საკმაოდ ახალია ადამიანზე სხვადასხვა გარემო ფაქტორების ზეგავლენის ისტორიაში, ისინი შესწავლის საგანი უკვე გახდა. მათ გარეშე ჩვენი ცხოვრება უკვე ვეღარ წარმოგვიდგენია. ვეღარ წარმოგვიდგენია დღე, რომელიც არ იწყება სოციალური ქსელით და მისითვე არ მთავრდება. რა თქმა უნდა, ჩვენი თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია კომუნიკაციის გარეშე, თანაც მაშინ, როდესაც კაცობრიობის უდიდესი გამოგონებები ამის საშუალებას თანამედროვე ადამიანს ნამდვილად აძლევს. დღეს არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს მსოფლიოს ერთი ბოლოდან მეორეში დაკავშირება, ერთმანეთთან კონტაქტი კილომეტრების დაშორებით. გარდა ტელევიზორის, ტელეფონისა და სხვა კონიმუკაციის საშუალებებს შორის ინტერნეტი და შესაბამისად სოციალური ქსელები, ის ყველაზე მნიშვნელოვანი არხებია, რომელთა გარეშეც კომუნიკაცია დღეს თითქმის შეუძლებელია. გთავაზოვთ, რამდენიმე კვლევის შედეგს და ძირითად მიგნებებს, რომლებიც თითოეული ჩვენგანისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია.

2017 წელს, ჯანმრთელობის სამეფო საზოგადოებამ 11-დან 25 წლამდე 1500 ახალგაზრდას შორის მოკვლევა ჩაატარა. რესპონდენტები უნდა დაკვირვებოდნენ საკუთარ განწყობას 5 ცნობილი სოციალური ქსელის გამოყენებით. 10-დან 7-მა განაცხადა, რომ სოციალური ქსელი Instagram-ი „სხეულის კულტის“ გამო, აიძულებთ მათ თავი იმაზე ცუდად იგრძნონ, ვიდრე არიან. 14-დან 24 წლის ასაკის ახალგაზრდები ამბობდნენ, რომ Instagram-ი და facebook-ი ამძაფრებს მათი შფოთვის გრძნობას. გამოკითხულთა ორი მესამედი ამბობდა, რომ ფეისბუქი მათ დაუცველს ხდის ბულინგისგან. როგორც მკვლევრები უსვამენ ხაზს, უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით შესამჩნევია იმ მომხმარებლებისთვის, რომლებიც სოციალურ ქსელებში დღეებს ატარებენ.

ასევე საინტერესო აღმოჩნდა, 2014 წელს ინსბრუკის უნივერსიტეტის (ავსტრია) მეცნიერების დასკვნა, რომლის მიხედვითაც ადამიანები ფეისბუქის გამოყენების შემდეგ ცუდ ხასიათზე რჩებიან, რადგან მიაჩნიათ, რომ მათ დრო უშედეგოდ დაკარგეს. იმავე წელს, კალიფორნიისა და იელის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ განწყობა სოციალურ ქსელში შეიძლება ძალიან სწრაფად გავრცელდეს. 2009-2012 წლებში მათ გაანალიზეს ფეისბუქის მილიარდიანი მომხმარებლიდან 100 მილიონი ადამიანი და აკვირდებოდნენ როგორ იცვლებოდა მათი სტატუსი წვიმის დროს. აღმოჩნდა, რომ ცუდ ამინდში უარყოფითი შეტყობინებები გაიზარდა 1,16%-ით, ხოლო პოზიტიური შეტყობინებები შემცირდა 1,19%-ით. უფრო მეტიც: თითოეული სამწუხარო პოსტი „წარმოშობდა“ მომხმარებლების მეგობრებს შორის საშუალოდ 1,29% მეტ უარყოფით შეტყობინებას, ვიდრე ჩვეულებრივი ამბავი. თუ მომხმარებელი აქვეყნებდა დადებით განცხადებას, ის დამატებით საშუალოდ 1,75%-ით მეტ დადებით შეტყობინებას იწვევდა.

გავლენა თვითშეფასებაზე

შვედეთიდან ათასობით ფეისბუქ მომხმარებლის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ზოგადად, ქალები, რომლებიც დიდ დროს ატარებენ სოციალურ ქსელში, თავს ნაკლებად ბედნიერად და თავდაჯერებულად გრძნობენ. მკვლევრებმა მიიჩნიეს, რომ ეს საკუთარი კარიერის, მიღწევებისა და ურთიერთობების შედარების შედეგია ყველა იმ დანარჩენ ადამიანთან, რომლებსაც ისინი სოციალურ ქსელში ადევნებენ თვალს. 2017 წელს გამოქვეყნდა სამეფო სამეცნიერო საზოგადოების მოხსენება, რომელშიც ნათქვამია, რომ Instagram-ის გამო (დაახლოებით 20 წლის ასაკის) გოგონები უფრო ნეგატიურად უყურებენ საკუთარ სხეულს, ხოლო 25 წელზე უფროსი ასაკის ქალები გადაჭარბებულად თვლიან მოლოდინს სამუშაოსა და ცხოვრების წესის შესახებ. მაგრამ ყველაფერი არც ისე ცუდადაა: 2018 წელს რესეარცჰემე-მ ინტერვიუში 12 წელზე უფროსი ასაკის ხუთი ათასი რუსი გამოკითხა, რომელთა ცხოვრებაზეც ინსტაგრამი გარკვეულ გავლენას ახდენდა. გამოკითხულთა ნახევარმა (ქალების 54%, მამაკაცთა 41%) აღნიშნა, რომ სოციალურმა ქსელმა შემოქმედებით საქმიანობაში და ინტერესებში პოზიტიური გავლენა მოახდინა, აუმაღლა მათ თვითშეფასება და ამავე დროს იგი შთააგონა კარიერული წინსვლისთვის. გამოკითხულთა 33%-ის აზრით, სოციალური ქსელები დადებითად აისახება თვითშეფასებაზე, ხოლო 29% - პირად ცხოვრებაზე. კორნელის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) ჩატარებულმა კვლევამ დაადგინა, რომ თუ სხვა ადამიანების ფოტოების ნაცვლად თქვენს პროფილს გადახედავთ, მაშინ თქვენი თვითშეფასება მეტად გაიზრდება.

ზემოქმედება სტრესზე

2017 წელს ავსტრალიელმა ფსიქოლოგებმა დაასკვნეს, რომ სოციალური ქსელების კერძოდ, კი ფეისბუქის მიტოვება, სტრესს ამცირებს. მეცნიერებმა გამოკითხვებზე მიიწვიეს 18-დან 40 წლამდე სოციალური ქსელების 138 აქტიური მომხმარებელი და სთხოვეს ეპასუხათ სოციალური აქტივობების კეთილდღეობისა და სტრესის დონის შესახებ დასმული კითხვებისთვის. გამოკითხულთა ერთ ჯგუფს 5 დღეში უნდა დაეტოვებინა ფეისბუქი, ხოლო მეორე ჩვეულებრივ გამოყენების შემდეგ უნდა მისულიყო ამ შედეგამდე. შედეგად, ადამიანებში, რომლებმაც არ ისარგლებლეს სოციალური ქსელებით, ხუთი დღის შემდეგ სტრესის ჰორმონის დონე მნიშვნელოვნად შეუმცირდათ და კომფორტის გრძნობაც გაეზარდათ. ვიდრე მათ, ვინც ჩვეულებრივი მოხმარებით ცდილობდა ამის მიღწევას.

დეპრესია და მარტოობის გრძნობა

2018 წელს პენსილვანიის უნივერსიტეტში ჩატარდა გამოკვლევა, რომელმაც აჩვენა მიზეზ-შედეგრობრივი კავშირი სოციალური ქსელების გამოყენებასა და ჩვენს ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას შორის. 143 კურსდამთავრებულს სამი კვირის განმავლობაში უნდა შეეზღუდა ფეისბუქის, ინსტაგრამისა და სნაპჩატის გამოყენება დღეში 10 წთ-ის განმავლობაში თითოეული პლატფორმისთვის, ან გამოეყენებინათ სოციალური ქსელი როგორც ყოველთვის. შედეგად,



სოციალური ქსელების შეზღუდული გამოყენების ჯგუფში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მარტოობის და დეპრესიის მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა. მეცნიერები ასკვნიან, რომ სოციალური ქსელების გამოყენების დღეში 10 წთის განმავლობაში შეზღუდვამ შეიძლება გამოიწვიოს ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ასევე აღმოჩნდა, რომ სოციალური ქსელების აქტიურ გამოყენებას თან ახლავს ინტერესის დაკარგვა, კონცენტრაციის პრობლემები, დაღლილობა და მარტოობა. მიუხედავად ამისა, სოციალურ ქსელებში დადებითი ფაქტორების აღმოჩენაც შეიძლება. საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, დროის და ფინანსების მნიშვნელოვანი ეკონომია, თანამოაზრეების პოვნის, გამოცდილების გაზიარების, ტერიტორიულად შორს მყოფ ან დიდი ხნის მივიწყებულ მეგობრებთან, ახლობლებთან კავშირის დამყარების შესაძლებლობა, სიახლეებში ჩართულობა, ადამიანთა ფართო აუდიტორიასთან გახსნილად ურთიერთობის, მათთვის სასურველი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა.საინტერესოა ის ფაქტებიც, რომ:

- ყოველ ერთ საათში Facebook-ზე 4,5 მილიონი ადამიანი იღებს მიწვევას რომელიმე ღონისძიებაზე.
- ყოველწუთში 100 000 ადამიანი მეგობრდება facebook-ზე.
- ყოველ წამს 8 მილიონი ადამიანი ხდება რომელიმე სოციალური ქსელის წევრი.
- Google-ში ძიების მოთხოვნების რაოდენობამ 1 მილიარდს გადააჭარბა დღეში.
- 10 წელი - ეს არის საშუალო ასაკი, რომლიდანაც იწყებენ სოც. ქსელების მოხმარებას.
- მომხმარებელთა ნახევარი კვირაში 1-5 საათს მაინც ატარებს სოციალურ ქსელებში.

კრიტიკისა და განხილვის საგანი ხდება სოციალური ქსელებით უსაზღვრო გატაცება, რაც ავტომატურად ძალიან დიდი დროის ფუჭად ხარჯვას იწვევს. შესაბამისად, ახალგაზრდებს აღარ რჩებათ დრო გაცილებით საინტერესო და სასასრგებლო საქმიანობით დაკავებისთვის. განუსაზღვრელი დროით ქსელში ყოფნა მათ ართმევს ცხოვრების აღქმის უნარს, წყვეტს რეალობას და აკარგვინებს დღევანდელობის შეგრძნებას. ამ ყველაფრის შემდეგ კი თავისთავად ხდება, რომ ახალგაზრდები ხელოვნურად ზღუდავენ საკუთარ განვითარებას. ასევე ხშირია უხეშობისა და ძალადობის თაობაზე მასალების გამოქვეყნებისა და დაგზავნის შემთხვევები. ამ საკითხზეც არსებობს გარკვეული დაკვირვებები და სტატისტიკა:

- ყოველ წელს მსოფლიოში დაახლოებით 100 ადამიანი ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით სოციალურ ქსელში გავრცელებული შეტყობინების გამო.
- სოციალური ქსელები ყოველი მესამე განქორწინებისა მიზეზად ითვლება.
- სოციალურ ქსელებში გაცნობის შემდეგ სამჯერ გაიზარდა ღალატის რიცხვი.

სოციალური ქსელი ცხოვრების ერთგვარი ნარკოტიკი ხდება, რომლის გარეშეც თითქოს ცხოვრებას სულ სხვა ელფერი აქვს, თითქოს არასრულყოფილები და სამყაროს მოწყვეტილები ვხდებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ამავდროულად გასათვალისწინებელი ფაქტია ისიც, რომ სოციალურ ქსელში ასაკი არ არის შეზღუდული. ამიტომაც, Microsoft ურჩევს მშობლებს, თუ როგორ დაეხმარნონ თავიანთ შვილებს ვებ-საიტების უსაფრთხო მოხმარებაში:

- თავად შეისწავლეთ ის ქსელები, რომლითაც სარგებლობს თქვენი შვილი;
- დარწმუნდით, რომ თქვენი შვილები არ იყენებენ სრულ სახელებს;
- აუკრძალეთ არა ვირტუალური, არამედ რეალური შეხვედრები პირებთან, რომლებთანაც მხოლოდ ვირტუალური შეხება ჰქონდათ ქსელში.
- გააფრთხილეთ ბავშვები, რომ არ არის სასურველი პირადი გრძნობები და ემოციები გაუმხილონ უცნობ ადამიანებს;
- ბავშვებთან ერთად სისტემატიურად უნდა იხილავდეთ წებ-კვანძებით სარგებლობის გამოცდილებას.

ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ ადამიანს, რეალური, ხელშესახები ურთიერთობები ჰქონდეს. ცოცხალი ურთიერთობების უკმარისობამ შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს ორგანიზმის იმუნურ სისტემაზე, ჰორმონალურ ბალანსზე, სისხლძარღვების მუშაობაზე და აზროვნების პროცესებზე, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდის ისეთი დაავადებების გაჩენისა და განვითარების რისკს, როგორიცაა კიბო, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები და გონებრივი ჩამორჩენა. ეს ყოველივე უკავშირდება იმ თავისებურებას, რომლის მიხედვითაც ადამიანის ორგანიზმში ფიზიოლოგიური პროცესები განსხვავებულად მიმდინარეობს იმის მიხედვით ადამიანი მარტოა, ვინმეს გარემოცვაში, თუ ვირტუალურ რეალობაში; მთავარია, ადამიანი თავად აცნობიერებდეს რისი მიღება სურს სოციალური ქსელებისგან და ინტერნეტსივრცისგან, მასიური გლობალური კომუნიკაციის საშუალებისგან, ანდაც ინფორმაციის უზარმაზარი საცავისგან, რომელიც აერთიანებს მთელი მსოფლიოს ინფორმაციულ რესურსს ერთ მთლიანობაში.

მასალა მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩავილმა

მცირეწლოვნის დაჭრაში ბრალდებულის დედა: ჩემს შვილს ფსიქიკური პრობლემები აქვს და მკურნალობდა

პეკინის გამზირზე, ბავშვის დაჭრის საქმეზე დაკავებული თამარ საძაგლიშვილის დედა ადასტურებს, რომ მის შვილს დანა ნამდვილად ჰქონდა და ეს დანა სავარაუდოდ, სახლიდან წაიღო.

მისივე თქმით, თამარ საძაგლიშვილი ფსიქიატრიულ კლინიკაში რამდენჯერმე მკურნალობდა. დაკავებულის დედის განმარტებით, ახლა ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, აქვს თუ არა საძაგლიშვილს ჯანმრთელობის პრობლემები და გამოძიებაც ამის მიხედვით უნდა გაგრძელდეს.

„დანა თუ არ ჰქონდა, როგორ დააზიანებდა? ესე იგი დანა ჰქონდა. ჩემს შვილს რადგანაც აქვს ფსიქიკური პრობლემები, ახლა სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ექსპერტიზა უნდა ჩატარდეს. რა თქმა უნდა, დადასტურდება ჯანმრთელობის პრობლემები და ამის მიხედვით იმსჯელებენ შემდეგ. მკურნალობდა და ფსიქიატრიულში იწვა“, - განაცხადა მანანა ჩხიკვაძემ.

ადვოკატი კი მიიჩნევს, რომ თამარ საძაგლიშვილის საქმეზე გამოძიება უნდა შეწყდეს, პატიმრობიდან გათავისუფლდეს და იძულებითი მკურნალობა დაენიშნოს. „ამ ეტაპზე არაფერს მოვითხოვთ.

სასამართლო მაინც ობიექტურად მოიქცა, ვინაიდან საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებები არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ თავისუფლებაზე დაეტოვებინა ბრალდებული. მაგრამ დანიშნულია სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა, სხვა საგამოძიებო მოქმედებები და შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ამ საქმეზე თამარ საძაგლიშვილზე სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება“, - განაცხადა ადვოკატმა ალექსანდრე გაბუნიამ.

მოსამართლემ დღეს პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

პეკინის გამზირზე დაჭრილი ბავშვი საავადმყოფოდან 29 აგვისტოს გაწერეს. პოლიციამ 3 წლის ბავშვის დაჭრაში ბრალდებული 28 აგვისტოს დააკავა. დანაშაული 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მცირეწლოვანს ბასრი საგნით დაზიანებები 27 აგვისტოს საღამოს მიაყენეს.

ყოფილი ჩეჩენი საველე მეთაურის მკვლელობა - ორი მთავარი ვერსია

23 აგვისტოს ბერლინში პანკისის მკვიდრის, ზელიმხან ხანგოშვილის ლიკვიდაციის შესახებ რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ნაწილი ამ მკვლელობას ლაფანყურის სპეცოპერაციას, ნაწილი კი რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ხანგოშვილის მონაწილეობას უკავშირებს. თუმცა კრემლი ამ საქმესთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

ზუსტად იმის თქმა, რომ ეს მათი (რუსების) გაკეთებულია, ყველას გაუჭირდება, მაგრამ კვალი იქითკენ მიდის და თუ ვერსიულად ვიმსჯელებთ, შეიძლება ორად-ორი ვერსია იყოს; პირველი ეს არის ლაფანყურისთვის შურისძიება ჩეჩნების კონკრეტული ჯგუფის მხრიდან, რომელიც თვლის, ზელიმხანი ისე რომ მოქცეულიყო, როგორც მაშინ ჩატაევი მოიქცა, მსხვერპლი არ იქნებოდა," - აცხადებს კავკასიოლოგი მამუკა არეშიძე. მისი განცხადებით, მეორე ვერსიის თანახმად, ხანგოშვილის მკვლელობაში შესაძლოა ჩეჩნეთის ლიდერის, რამზან კადიროვის ხელი ერიოს".

"მეორე ჯგუფს კადიროვის ხალხი მიეკუთვნება, რომელიც ბუნებრივია, კრემლთან ასოცირდება. კადიროვი ცდილობს, რომ ევროპაში, ჩენჩნურ დიასპორაში მაქსიმალურად განიმტკიცოს თავისი გავლენები. ზელიმხანისნაირ ადამიანებზე, რომელიც მას ამაში ხელს უშლიან, ლიკვიდაციის ბრძანება გაიცემა-ხოლმე," - განაცხადა მამუკა არეშიძემ. რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სპიკერის დმიტრი პესკოვის ცნობით, „ამ საქმეს რუსეთის სახელმწიფოსთან, ოფიციალურ ორგანოებთან საერთოდ არაფერი აქვს საერთო." პესკოვი კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს ამ მკვლელობასა და ოფიციალურ რუსეთს შორის. ამის შესახებ პუტინის სპიკერმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ოჯახის ახლო ნათესავი ნონა ხანგოშვილი ზელიმხანის ლიკვიდაციასა და ლაფანყურის სპეცოპერაციას შორის კავშირს გამორიცხავს. ის მომხდარს რუსეთ-ჩეჩნეთის ომში ხანგოშვილის მონაწილეობას უკავშირებს და ამბობს, რომ იჩქრიის მაშინდელ პრეზიდენტთან დაახლოებული საველე მეთაური იყო. ცნობისათვის, ზელიმხან ხანგოშვილი საცხოვრებლად გერმანიაში 2015 წელს, თბილისში მასზე შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ გადასახლდა და იქ თავშესაფარს ითხოვდა. იმ დროს ხანგოშვილის მეგობარმა, საიხან მუზაევმა გამოთქვა ვარაუდი, რომ თავდასხმა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო მოწყობილი.

პლანეტები ეგვიპტის პირამიდების თავზე? – რატომაც არა, დაახლოებით...

2012 წლის 3 დეკემბერს, ერთ-ერთ ასტრონომიულ მოვლენასთან დაკავშირებით, ეფექტური სურათი გავრცელდა. მას შემდეგ ის ინტერნეტის გვერდებიდან აღარ "ჩამოდის" — სურათზე სამი პლანეტა: მერკური, სატურნი და ვენერა გიზას პირამიდების წვეროებთან მოჩანს. სურათს თან ახლავს ეფექტური წარწერა: "ასეთი მოვლენა 2737 წელიწადში ერთხელ ხდება".

2012 წლის 3 დეკემბერს, დილის 6 საათსა და 30 წუთზე, ასტრომოყვარულმა ბობ ქინგმა, აშშ მინესოტას შტატის ქალაქ დულუთიდან, შთამბეჭდავი სურათი გადაიღო — სატურნი და ვენერა ერთ ხაზე, ერთმანეთისგან სულ რაღაც ½ გრადუსის მოშორებით განლაგდა. ერთსა და იმავე სურათზე ვენერა საკმაოდ კაშკაშა, თეთრი ბურთულასავით მოჩანს, სამაგიეროდ, იმავე ექსპოზიციით, სატურნი (მარცხნივ) — პაწია მოყვითალო წერტილია.

პლანეტების აღლუმი პირამიდების თავზე, რომელიც 2737 წელიწადში ერთხელ ხდება.

მაშ ასე — რამდენად აკურატულია ინტერნეტში მოტრიალე სურათი? ავტორი უცნობია, გამავრცელებლები კი ირწმუნებიან, რომ სწორედ ასეთი სურათი მოჩანდა ქაიროს (ეგვიპტე) თავზე, 2012 წლის 3 დეკემბერს. თუმცა...

მოდი დავაკვირდეთ თვითონ პლანეტების განლაგებას: სწორ ხაზზე მერკურის, ვენერას და სატურნის განლაგება სრულიად შესაძლებელია, თუმცა ამ წარმოსახვით ხაზზე ვენერას "ცენტრი" არასოდეს გაივლის — ის ყოველთვის ცოტა "მაღლა" იქნება.

რაც შეეხება 2737 წელს, სამი კაშკაშა პლანეტა ერთ ხაზზე გაცილებით უფრო ხშირად მოჩანს, რაშიც ნებისმიერი ადამიანი დარწმუნდება, თუ ცამრგვალს 10 წლის განმავლობაში მაინც დააკვირდება. პირამიდების თავზე განლაგებული სამი პლანეტის ეს ხელოვნური ილუსტრაცია მართლაც ძალიან შთამბეჭდავია, მაგრამ მისი თაყვანისმცემლების გულდასაწყვეტად უნდა ვაღიაროთ, რომ ის ნამდვილი არ არის. სამაგიეროდ, სრულიად რეალურია მერკურის, ვენერას და იუპიტერის მიერ 2011 წლის აგვისტოში შემოთავაზებული სანახაობა — და სხვა ბევრი მსგავსიც.

სოფლის მეურნეობის სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები: ჯემალ კვანჭილაშვილი, ივერი ჭუჭულაშვილი, მერაბ რობიტაშვილი, ზურაბ თეთვაძე, ნანა ჭიჭინაძე, ნანა აფციაური, მერაბ ფიროსმანაშვილი, თამაზ ჯანიკაშვილი ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს ყოფილი ინჟინერ-მექანიზატორი

გურამ ნათელაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

მეუღლე ვენერა კიკილაშვილი, შვილები: დავითი, ნანა, რძალი თეა არაბული, სიძე ზაურ ოქრიაშვილი, შვილიშვილები: ვანიკო, ანი, გურამი, ნინო, გაბრიელი, ლაზარე ნათელაძეები, ლუკა ოქრიაშვილი იუწყებიან

გურამ ნათელაძის

გარდაცვალებას. დაიკრძალა 27 აგვისტოს, ქ. დედოფლისწყაროში.

მონაფრება

ზემფირა (ქალია) იაკობიშვილი

დედა! სიტყვა, რომლის თქმაც სანატრელი გაგვიხდა, რომლის დაძახებაზეც პასუხს არავინ გაგვცემს... ტკივილი, რომელიც მოუშუშებელია და იმედი, რომელიც გაქრა.

ჩემო სიკეთითა და სილამაზით მოსილო, ულამაზესო დედა. 40 დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. ძალიან გვიჭირს უშენობა, ჩემო საყვარელო დედა, ჩემო ტკივილითა და დარდით გარდაცვლილო დედა. წახვედი შენს საყვარელ მეუღლესთან და შენს საყვარელ შვილიშვილთან- ზაზასთან.

შემზარავი და თავზარდამცემი იყო ის წუთი ჩვენთვის, როცა უფალმა თავისთან წაგიყვანა, გულში ჩაგიხუტა და ყველა ტკივილი დაგიამა.

ვაჟა ხომ თან გყვებოდა, დედა, როგორც პატარა ბავშვს, ისე გივლიდა. ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ შენ გეცოცხლა. შენი რძლები -მაია და ქეთიც თავს გევლებოდნენ. მაგრამ ყველაფერი უფლის ნება ყოფილა.

ძალიან, ძალიან გვტკივა უშენობა, ჩვენო საყვარელო დედა. დაცარიელდა სახლი უშენოდ. იქ მისულს შენ აღარ მეგებები და იქიდან წამოსულს აღარ მაცილებ. აღარ მინდა იქ ჩასვლა, მაგრამ ჩემს ძმას ვერ მივატოვებ, ახლა უფრო მეტად გვჭირდება ერთმანეთის გვერდში დგომა.

ჩემო ლამაზო, კეთილო დედა, სოფელში ყველა სამართლიან და მოსიყვარულე ადამიანად გიცნობდა, ყველას უყვარდი, მეზობლები შენს გარდაცვალებას გლოვობენ.

ჩემო საყვარელო დედა, გამოაკლდი შენს ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს, რძლებს, ახლობლებს და მეზობლებს, რომელთა ლხინისა და ჭირის გამზიარებელი იყავი. ყველას ექთანი შენ იყავი, დედა, არავის დაზარდებოდი, მეზობლებში სულ წამლითა და ნემსით დადიოდი.

მწარეა ყველა ჩვენთაგანისთვის შენზე წარსულში ლაპარაკი, მაგრამ უფრო ძნელია აწმყო უშენოდ. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. თვალებით მუდამ შენ დაგეძებ, ყურში ჩამესმის შენი მძიმე სუნთქვა და ტკივილიანი კვნესა. ძალიან, ძალიან მენატრები და მიყვარხარ, ჩემო ლამაზო დედიკო.

წლები გაივლის, გაგრძელდება ცხოვრება უშენოდ, მაგრამ დრო ვერ შეანელებს იმ დიდ სიყვარულს, რომელსაც დედაშვილობა ჰქვია.

ყველას ძალიან დაგვაკლდი, ჩემო დედა. ენატრები შენს შვილებს, შვილიშვილებს, რძლებს, შვილთაშვილებს. პატარა ნატალია და მარიამი სულ შენს ხსენებაში არიან, შერბიან შენს ოთახში და გეძებენ.

ერთი რამ დაგვრჩა ნუგეშად, ვილოცოთ შენი სულისათვის, არ მოგაკლოთ წმინდა სანთელი და საკმეველი. უფალმა ნათელში გამყოფოს და სამუდამო სასუფეველი დაგიმკვიდროს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ, ჩემო საყვარელო დედა.

შენი ოჯახი.

დედოფლისწყაროს მოჭადრაკეების ფურორი

ადამიანის ცხოვრებაში არის დღეები, რომელიც არ გავიწყდება. ასეთ დღესასწაულად გვექცა 23 აგვისტო. ქ, გურჯაანში ჩატარდა კახეთის რეგიონალური ღია ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც დედოფლისწყაროდან მონაწილეობა მიიღო 4 მოჭადრაკემ:

დემეტრე ფიროსმანაშვილი (9 წლის),
ილია ტოკლიკიშვილი (10 წლის),
გიორგი გველუკაშვილი (12 წლის) და
გიორგი კიკილაშვილი (62 წლის).

შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტურნირის შედეგების გამოცხადებისას კახეთის რეგიონის წარმომადგენლები (6 მუნიციპალიტეტი) ვერ მალავდნენ გაოცებას ჩვენს წარმატებაზე:

მეორე ადგილი- გიორგი კიკილაშვილი,
მესამე ადგილი- ილია ტოკლიკიშვილი,
მეოთხე ადგილი- გიორგი გველუკაშვილი,
ნომინაცია საუკეთესო მწვრთნელი- გიორგი კიკილაშვილი.

განსაკუთრებით გასახარია პატარა მოჭადრაკეების სერიოზული წინსვლა. როგორც დედოფლისწყაროს ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, ჩვენს მუნიციპალიტეტში ხუთი თვეა ფუნქციონირებს ჭადრაკის კლუბი და მისასალმებელია, რომ ყველა ასაკის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას ჩემპიონატში. ილია ტოკლიკიშვილმა (10 წლის) 5 შესაძლებლობიდან 4 ქულა დააგროვა და მხოლოდ ერთი პარტია დათმო ტურნირის ჩემპიონთან - ალექსანდრე წანაწყენიშვილთან (14 წლის, გურჯაანი). აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე აგვისტოს თვეში ჩატარებული საერთაშორისო ტურნირის- ,,შავი ზღვის დელფინი"-ს თასის გამარჯვებულია. ასევე წარმატებულად იასპარეზა გიორგი გველუკაშვილმა (12 წლის). მან 5-დან 3,5 ქულა დააგროვა და უკან ჩამოიტოვა ,,კახეთის ვუნდერკინდი"- დათა ყალაბეგაშვილი (8 წლის, 3 ქულა). დედოფლისწყაროს გუნდში ყველაზე უმცროსი მონაწილე დემეტრე ფიროსმანაშვილი პირველად იღებდა მონაწილეობას ამგვარ ტურნირში და 5-დან 2 ქულა ნამდვილად კარგი შედეგია.



ალბათ დაგვეთანხმებით, რომ 5 თვეში ასეთი შედეგის დადება, უტყუარი ნიშანია ჩვენი ბავშვების ნიჭირების და შრომისმოყვარეობისა. მივულოცოთ მათ ეს წარმატება და ვუსურვოთ წინსვლა შემდგომ ბატალიებში.

დედოფლისწყაროს ჭადრაკის კლუბი

სპორტული ტურნირი არბოშიკში

არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 23 აგვისტოს სოფელ არბოშიკში სპორტული ტურნირი გაიმართა. ტურნირში სოფელ არბოშიკთან ერთად მეზობელი სოფლის - ოზაანის ახალგაზრდობაც იღებდა მონაწილეობას.

ტურნირი სამ სახეობაში: მკლავჭიდში, ჭადრაკსა და ფეხბურთში ჩატარდა. მკლავჭიდში, სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ შემდეგი გამარჯვებულები: გიორგი ალადაშვილი, ნიკა მარტყოფლიშვილი, ნიკა ჩომახაშვილი, აბო გონაშვილი, გიორგი პატატიშვილი, დათო ალადაშვილი, საბა მარტყოფლიშვილი. აღსანიშნავია, რომ მკლავჭიდში მონაწილეობა წელს პირველად გოგონებმაც მიიღეს. ჭადრაკში გამარჯვება მოიპოვეს, გოგონებში: პირველი ადგილი- მარიამ ბაღაშვილი, მეორე ადგილი - ნინო გუგავა, ხოლო ბიჭებში კი ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა - პირველი ადგილი - საბა ხიზანიშვილი, მეორე ადგილი - ნიკა გოგიშვილი, მესამე ადგილი - დათუნა გოგიშვილი, მეოთხე ადგილი - აბო გონაშვილი. ფეხბურთში არბოშიკის გუნდს სამახსოვროდ ფეხბურთის ბურთი გადაეცა, ხოლო სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულებს კი არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფმა სამახსოვრო სუვენირები გადასცა. ტურნირს როგორც არბოშიკის, ასევე ოზაანის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგნლებიც ესწრებოდნენ. როგორც ქალთა და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგნელები გაზეთ „შირაქთან" საუბარში აცხადებენ, მსგავსი შინაარსის ტურნირების განხორციელება სექტემბრის თვეშიც იგეგმება.

შეგახსნებთ, რომ არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფი ხშირად ანხორციელებს საგანმანათლებლო- აღმზრდელობით, სპორტულ, კულტურულ თუ ეკოლოგიასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, რომლის ფარგლებშიც აქტიურად არიან ჩართულები როგორც პატარა ასაკის, ასევე უფროსი თაობის წარმომადგენლებიც. მათ მიერ განხორციელებული აქტივობები ხელს უწყობს ახალგაზრდების მოტივაციას და მათში სამოქალაქო აქტივიზმის გრძნობის ამაღლებას.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ეროვნულმა ბანკმა რაგბის თემაზე ოქროს და ვერცხლის მონეტები გამოუშვა

ეროვნულმა ბანკმა რაგბის თემაზე შექმნილი ოქროს და ვერცხლის მონეტები გამოუშვა. 5 ლარის ნომინალის საკოლექციო მონეტები დღეს გამართულ პრეზენტაციაზე ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ წარადგინა.

საკოლექციო მონეტები 2019 წლის შემოდგომაზე იაპონიაში რაგბის მე-9 მსოფლიო თასის გათამაშებაზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ნაკრების მონაწილეობას მიეძღვნა. პრეზენტაციას ეროვნული ნაკრები, საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლები, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ფინანსური სექტორის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კობა გვენეტაძემ მადლობა გადაუხადა ნაკრების წევრებს და წარმატება უსურვა მათ. მან საკოლექციო მონეტით დაასაჩუქრა ნაკრების ყოფილი კაპიტანი მამუკა გორგოძე, ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი, ბორჯღალოსნების კაპიტანი მერაბ შარიქაძე და რაგბის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე.

„ჩვენმა რაგბისტებმა წარმატებებით გაგვანებივრეს. დღეს რაგბის არაერთი გულანთებული გულშემატკივარი ჰყავს ჩვენს ქვეყანაში. ის, რომ ჩვენი ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს, ეს უკვე დიდი გამარჯვებაა. მსურს, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა რაგბის ეროვნული ნაკრების მიმართ და წარმატება ვუსურვო ჩვენს საამაყო ბორჯღალოსნებს", - განაცხადა კობა გვენეტაძემ.

მონეტის დიზაინი მამუკა და ნიტა გონგაძეებს ეკუთვნით. საკოლექციო მონეტები ოვალურია და იმეორებს რაგბის ბურთის ფორმას, დატანილია მორაგბის და ლელოს მოთამაშეთა გამოსახულებები. მონეტები ლიეტუვას ზარაფხანაში მოიჭრა.

მონეტების შეძენა ხვალიდან, 29 აგვისტოდან არის შესაძლებელი ეროვნული ბანკის საკასო ცენტრსა და ყვარლის ფულის მუზეუმში, ასევე ეროვნული ბანკის ონლაინმაღაზიის საშუალებით.

ქირავდება!
20 კვ.მ. მაღაზიის ფართი მისამართზე: ჰერეთის ქ. №130 (ყოფილი ნატოს მაღაზია)
დარეკეთ
571 231906 ნატო.

ი ყ ი დ ე ბ ა !
ქ. დედოფლისწყაროში იყიდება 2 ოთახიანი, გარემონტებული ბინა ლოჯით, სარდაფით და ავტოფარეხით. გამოდგება საოფისედაც. მისამართი: რუსთაველის ქ. №36, კორპუსი 40, ბინა 13, 1 სართული. ფასი 19 000$. (ფასზე შეთანხმება შესაძლებელია).
☎599 855832

იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ
☎591092478

ამინდი — დედოფლისწყარო

	ორშაბათი 02.09	სამშაბათი 03.09	ოთხშაბათი 04.09	ხუთშაბათი 05.09	პარასკევი 06.09	შაბათი 07.09	კვირა 08.09
დღე	18 °	17 °	16 °	19 °	17 °	18 °	17 °
ღამე	15 °	15 °	15 °	15 °	16 °	15 °	16 °

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქ.ალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.